

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599480626

01/07/2016

N 375

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 28 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქალები პოლიტიკაში" სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №3- 5(ხუთი) ფურცელი)

პატივისცემით,  
ნონა მურვანიძე



თავმჯდომარე

ფრაქცია "ქალები პოლიტიკაში"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“  
სხდომის ოქმი №3

ქ.ლანჩხუთი

28.06.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე.  
ფრაქციის წევრი: მოადგილე : ელისო ჭიჭინაძე, მდივანი დარეჯან ბურჭულაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარმდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“

/მომხსენებელი ნ.მურვანიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნ.მურვანიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნ.მურვანიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

/მომხსენებელი ნ.მურვანიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი ნ.მურვანიძე/

6. ფრაქციის მიერ განხორციელებული სოფლების შუხუთის, ნიგოთის, ჭყონაგორის, ქვიანის ბიბლიოთეკების დათვალიერების შედეგების მოსმენა-განხილვა.

7. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა დღის წესრიგის მე-6 საკითხი გადატანილი ყოფილიყო პირველ საკითხად რასაც, მხარი დაუჭირა ფრაქციის წევრებმა.

**მომხრეპ ,წინააღმდეგი არცერთი**

დღის წესრიგის პირველი საკითხი ფრაქციის მიერ განხორციელებული სოფლების შუხუთის, ნიგოთის, ჭყონაგორის, ქვიანის ბიბლიოთეკების დათვალიერების შედეგების მოსმენა-განხილვა სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე ნონა მურვანიძემ, მან განმარტა რომ 20 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ ბიბლიოთეკებში არსებული ვითარებით დაინტერესდნენ. ამ მიზნით ფრაქციის წევრები შუხუთის, ჩოლობარგის, ქვიანისა და ჭყონაგორას ბიბლიოთეკებში იმყოფებოდნენ. დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა რიგი პრობლემები. კერძოდ: შენობები, რომლებშიც ბიბლიოთეკებია განთავსებული სრულიად ამორტიზებულია, შესაბამისი პირობების არქონის გამო დაზიანებულია წიგნადი ფონდი. როგორც ბიბლიოთეკარებმა განაცხადეს, მკითხველებს მოთხოვნა ძირითადად ახალ გამოცემებზე აქვთ. წიგნადი ფონდი ბოლოს პროექტის ფარგლებში „წიგნი ყველა სოფელს“ განახლდა, რომელიც პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით განხორციელდა. კერძოდ:

შუხუთის ბიბლიოთეკა რომლის წიგნადი ფონდი გადატანილია სკოლის შენობაში არ ფუნქციონირებს და იქ მხოლოდ იმიტომ არის რომ არ მოხდეს წიგნების დაზიანება. მოსახლეობა ბიბლიოთეკით არ სარგებლობს. რაც შეეხება ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩოლობარგის ბიბლიოთეკას არის ძალიან ცუდ პირობებში და როგორც ბიბლიოთეკარებმა განაცხადეს არის 4000 ცალი წიგნი, მაგრამ მათი უმეტესობა არის სრულიად გამოუსადეგარი, მხოლოდ 65 ცალი წიგნი პრეზიდენტის გადმოცემული არის მუშა მდგომარეობაში და ბიბლიოთეკარების დიდი მონდომების მიუხედავად რომ სხვა შენობაში გადასულიყვნენ ან ის შენობა შეეკეთებინათ უშედეგოდ დამთავრდა. ასევე მან განაცხადა რომ როცა სოფლის პროგრამების დაგეგმვა ხდება მოსახლეობასთან ერთად, სწორად უნდა იყოს ინფორმირებული მოსახლეობა და ამ პროგრამებით გაკეთდეს თუმცა ბიბლიოთეკები.

კულტურის გაერთიანებათა ხელმძღვანელმა ადელინა კილაძემ განაცხადა რომ, ქვიანში სადაც უნდოდათ ბიბლიოთეკის გაკეთება არ მოინახა არც ერთი შენობა სადაც განთავსდებოდა ბიბლიოთეკა. ასევე მან დასვა შეკითხვა შეიძლება თუ არა ჭყონაგორის ბალის შენობაში, როცა ეს ბალი გადავა ახალ შენობაში ამ შენობით ისარგებლოს ბიბლიოთეკამ.

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა რომ ბიბლიოთეკების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა პრობლემატური საკითხები, რომელიც მრავალი წელია მოუგვარებელია და მდგომარეობის გაუარესების გამო მიზანშეწონილად მიაჩნია ერთბლივი ძალებით მოხდეს აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა. მან ასევე აღნიშნა რომ მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები.

დეპუტატ ელისო ჭიჭინაძეს მიაჩნია, რომ ასეთ რთულ და გაუსაძლის პირობებში მუშოაბა არის ბიბლიოთეკაში დასაქმებულ ადამიანთა მხრიდან გამირობის ტოლფასი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა გახლავთ პეტიცია, რომლის წარდგენის დროს მნიშვნელოვანია გარკვეული პროცედურების დაცვა, ამიტომ საკრებულოს მიერ საჭიროა შემუშავდეს ერთიანი პეტიციის წარმდგენი(მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკი, პეტიციის წარდგენის თაობაზე წარსადგენი განცხადების ფორმა და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის ფორმა. აღნიშნულის დამტკიცება ხელს შეუწყობს, როგორც საკრებულოს მუშაობას, ასევე პეტიციის სწორ წარდგენას

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 3,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2015 წლიდან გადავიდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაზე, სადაც ეტაპობრივად ხდება გარკვეული დავალებების სისტემის მეშვეობით შესრულება, დღესდღეობით კი, ძირითადი დოკუმენტების მომზადება და საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად, რამაც განაპირობა აუცილებლობა იმისა, რომ შევიმუშაოთ ერთიანი წესი, რის მიხედვითაც მოხდება საქმისწარმოების დარეგულირება.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 3 ,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანერგილია საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა. ელექტრონული პროგრამის მიზანია დოკუმენტბრუნვის ხარისხის გაუმჯობესება ძირითადი (რუტინული) ამოცანებისა და აქტივობების ავტომატიზაციის გზით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დოკუმენტების მიღების, აღრიცხვის, მომზადების, გაფორმების, მოძრაობის, შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და სხვა პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქცია.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 3,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირის სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ შეატყობინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს და პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ შეადგინოს, გასცეს ოქმი და პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გააგზავნოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლისათვის შესაბამისი ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა უზრუნველყოს გამგეობის დებულებაში ცვლილების შეტანა. ვინაიდან, აღნიშნული ცვლილება უნდა ამოქმედდეს 2016 წლის 3 ივლისს, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით,

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 3,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ გამგეობის იურიდიულ სამსახურში დღესდღეობით თავისი ჩათვლით მუშაობს სამი თანამშრომელი. თავად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრი. ასევე, იგი სასამართლოსთან და სხვადასხვა უწყებებთან ურთიერთობებში წარმოადგენს მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირების მიზნით, მას უწევს მშენებარე ობიექტის ადგილზე დათვალიერება. თითქმის ყოველდღიურად ტარდება სატენდერო კომისიის სხდომა, ასევე ხშირია სასამართლო პროცესები. სამსახურის ფუნქციების უკეთ განსახორციელებლად, მიზანშეწონილად ჩაითვალა გამგეობის იურიდიულ სამსახურს დაემატოს მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, რომელსაც დაევალება სასამართლოებთან წარმომადგენლობა.

**ფრაქციის თავმჯდომარე ნონა მურვანიძემ აღნიშნა**,რომ იურიდიულ სამსახურს ჰყავს 3 იურისტი შესაბამისად დელეგირებული აქვთ ფუნქციები.რაც შეეხება მოტივს რომ იურიდიულ სამსახურს დაემატოს ერთი საშტატო ერთეული,რომელსაც დაევალება სასამართლოში წარმომადგენლობა,რაც თავსმხრივ ყოველდღიური აუცილებლობით არ არის გამოწვეული.შესაბამისად წარმოდგენილ პროექტს არ ახლავს ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტიც,აქედან გამომდინარე ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება არ დაუჭიროს წარმოდგენილ პროექტს.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:  
მომხრე „წინააღმდეგი 3“.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.




ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“  
თავმჯდომარე:



ნონა მურვანიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "მეტი ქალი პოლიტიკაში" წევრთა  
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 ივნისი 2016 წელი  
16.30 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ნონა მურვანიძე	16 <sup>30</sup>	
2	დარეჯან ბურჭულაძე	16 <sup>35</sup>	
3	ელისო ჭიჭინაძე	16 <sup>30</sup>	
4	ომარ გოგიჩაიშვილი		